გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი
03.02.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სოციოლოგია / SOCIOLOGY |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სოციოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Sociology |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0314 სოციოლოგია ფართო სფერო: 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია ვიწრო სფერო: 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები; დეტალური სფერო: 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, 2012 წლის 28 ნოემბრის #737 გადაწყვეტილება. |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ ჯგერენაია, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ფლორა ესებუა, კავკასიის უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ მაჭავარიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოხუმის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 28 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 737 გადაწყვეტილებით. პროგრამა 2019 წლის ივლისამდე ხორციელდებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 2019 წლის 19 ივლისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით (№152/ნ) უნივერსიტეტში განხორცილედა რეორგანიზაცია. შედეგად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი გაერთიანდა.

სოციოლოგიის საბაკლავრო პროგრამა ამჟამად ხორციელდება სოხუმის უნივერისტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს - 8 სემესტრს და 240 (ECTS) კრედიტს.

კრედიტები ასე ნაწილდება:

- ზოგადი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 18 კრედიტი
- დარგობრივი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 6 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 136 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები - 20 ECTS კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები - 60 ECTS კრედიტი, რომელსაც სტუდენტი გეგმავს ინდივიდუალურად.

თავისუფალი კომპონენტების არჩევისას უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ორ შესაძლო ვარიანტს:

1. თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი: მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (მათ შორის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;

2. დამატებითი (Minor) პროგრამა - 48 ECTS კრედიტი (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან) და თავისუფალი კურსები 12 ECTS კრედიტი (სტუდენტს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების გათვალისწინებით).

ასეთი დაყოფა არსებითად აკმაყოფილებს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სოციოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მიღებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2021 წლის 13 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვედრამდე ერთი დღით ადრე შეიკრიბა და განიხილა პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა. ონლაინ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს შესავალი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც ისაუბრა უნივერსიტეტის მისიაზე, სოციოლოგიის პროგრამის მნიშვნელობაზე, მის ადგილსა და როლზე უნივერსიტეტის სტრუქტურასა და მისიაში, რამაც კეთილგანწყობისა და ღიაობის ატმოსფეროს შექმნას შეუწყო ხელი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ღიად და გახსნილად პასუხობდა კომისიის წევრების დასმულ კითხვებს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ამომწურავი პასუხები პროგრამის ყველა კომპონენტზე. მუშაობა წარიმართა კოლეგიურ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა არსებითად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან, კერძოდ კი შეფასება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
2. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოტხოვნებთან.
3. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
4. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
5. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტებისათვის შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი კურსები უზრუნველყოფს სოციოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას; კურსების სემესტრული განაწილება ლოგიკურია;

შეფასების სისტემა გამართულია, სწავლების მეთოდოლოგია სათანადო; პროგრამა ფინანსურად და მატერიალურად უზრუნველყოფილია.

პროგრამას ჰყავს კვალიფიციური, გამოცდილი და მოტივირებული აკადემიური პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მაღალი კვალიფიკაცია.

- რეკომენდაციები

1. რეკომედნებულია თანამდეროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში გადაიხედოს კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები, ერთი და იგივე ავტორებისთვის რამდენიმე კვირის დათმობის შემთხვევაში კი, განისაზღვროს შესაბამისი ლიტერატურა და/ან დაემატოს სხვა ავტორები (მაგ: მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი).
2. რეკომენდებულია კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების სილაბუსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხებისა და შესასრულებელი დავალებების იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული იყოს არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე.
3. რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის გამართვა იმგვარად, რომ მისი მიზანი და შედეგები გულისხმობდეს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით.
4. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი.
5. რეკომენდებულია, დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამა გაყოფილია სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებად. შესაძლებელია პროგრამის გაყოფა სამ ნაწილად: სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებად, რაც პროგრამას მეტ მოქნილობას შესძენდა. ასე მაგალითად, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, შესაძლებელია დარჩეს:
    - სოციოლოგიის შესავალი;
    - აკადემიური წერა;
    - საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციოლოგიაში;
    - კველვის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში;
    - ზოგადი სოციოლოგია;
    - პროტოსოციოლოგია;
    - კლასიკური სოციოლოგიური თეორიები;
    - თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები;
    - სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები;
    - სტატისტიკა;

- სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები;
- სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი;
- პროფესიული პრაქტიკა;
- პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები;
- კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით);
- საბაკალავრო ნაშრომი (ასევე შესაძლებელია შევიდეს სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალში).

ხოლო სხვა დისციპლინები გადავიდეს სავადებულო - არჩევითი (აქ შეიძლება შევიდეს დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები) ან არჩევითი კურსების (ყველა სხვა დანარჩენი) ჩამონათვალში.

2. სასურველია, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ჩაბარება.
3. სასურველია სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების შესაბამისად განსაზღვრა.
4. სასურველია სასწავლო კურსების ნაწილის განახლება უახლესი ლიტერატურითა და კვლევებით.
5. სასურველია, სასწავლო კურსებში, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ავითარებს წერილობითი კომუნიკაციის უნარებს, თემისა თუ ანგარიშის პრეზენტაციასთან ერთად რეკომენდებულია ფასდებოდეს ნაშრომის წერილობითი მხარე კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
6. სასურველია, ანალოგი პროგრამების დადარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

2012 წლის 28 ნოემბერს მიღებული აკრედიტაციის შემდეგ პროგრამამ მნიშვნელოვანი ცვილებები და პროგრესი განიცადა. ინტერვიუმ ცხადი გახადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტენსიურად მუშაობდა პროგრამის განახლებასა და სრულყოფაზე. პროგრამას ჩამოშორდა ზოგიერთი სასწავლო კურსი და დაინერგა ახალი. პროგრამაში განხორციელებული ცვლილება სათანადოდ არის ასახული თვითშეფასების დოკუმენტში და საბაკალავრო პროგრამის აღწერაში.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აღწერის დოკუმენტში მკაფიოდ არის ფორმულირებული პროგრამის მიზნები. პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ხარისხიანი განათლების მქონე, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული/ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას.<br>პროგრამა ორინეტირებულია ბაკალავრებისათვის ფართო ცოდნის მიცემაზე სოციოლოგიის მეცნიერების ისეთ სფეროებში, როგორიცაა:<br>ძირითადი კონცეპტები;<br>სოციოლოგიური მიდგომები;<br>სოციალური სტრუქტურების, სოციალური ინსტიტუტებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება;<br>პიროვნებისა და სოციუმის ურთიერთგავლენა;<br>ზოგადსოციოლოგიური პრინციპები;<br>ძირითადი კულტუროლოგიური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, გენდერული თეორიები;<br>აკადემიური წერის პრინციპები და სტადიები;<br>სოციოლოგიური თეორიები და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია.<br><br>პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულის გამოშვებაზე, რომელიც დასაქმედება ადგილობრივ შრომის ბაზარზე და კონკურენციას გაუწევს ამავე კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა ქართული უნივერისტეტის კურსდამთავრებულებს.<br><br>აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებული დაუბრკოლებლად შეძლებს სწავლის გაგრძელებას სოციოლოგიის სამაგისტრო საფეხურზე, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას. პროგრამის ორინეტაცია, მოამზადოს სოციალური პრობლემების |

| |
|---|
| იდენტიფიკაციის და გადაჭრის, სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისა და კვლევის შედეგების ანგარიშის მომზადების, დასკვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, აკადემიური ტექსტის შექმნისა და გამოყენების უნარის მქონე კურსდამთავრებული, ხელს შეუწყობს დარგის სპეციალისტის პრესტიჟსა და კონკურენციის ზრდას;<br><br>გარდა ამისა, პროგრამის მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიასა და განვითარების ხედვასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ სსუ მისია;<br>○ სსუ წესდება;<br>○ ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;<br>○ სსუ ვებ-გვერდიhttps://www.sou.edu.ge |
| რეკომენდაციები:<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
| --- |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდრო კავშირში და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები დადგენილია ისეთი ინდიკატორების მეშვეობით, როგორიცაა:<br><br>1.მყარი თეორიული ცონდა სოციოლოგიაში;<br>ზოგადსოციოლოგიური პრინციპების; სოციოლოგიური აზრის განვითარების ისტორიული ასპექტების, დარგში არსებული ტენდენციების; ძირითადი სოციალური ინსტიტუციებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებისსს; პიროვნების და სოციუმის ურთიერთგავლენის მექანიზმების; სოციალური სისტემის სტრუქტურის თავისებურებების; ძირითადი კულტუროლოგიური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, გენდერული თეორიებისა და პრინციპების; აკადემიური წერის წესების და წერის პროცესის სტადიების ცოდნა.<br><br>2.სოციოლოგიური თეორიებისა და საზოგადოებრივი აზრის სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები;<br>აქ იგულისხმება: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სოციოლოგიურ კვლევის, კვლევის ანგარიშის მომზადების, დასკვნის ჩამოყალიბების, კვლევის შედეგად მიღებული შედგების გააზრების, კრიტიკულად გაანალიზების, კვლევასა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი;<br><br>3.ცოდნის გადაცემა და პროფესიული კომუნიკაცია;<br>საკუთარი აზრის გადმოცემის და დისკუსიის კორექტულად, არგუმენტირებულად და აკადემიური ფორმით წარმართავის უნარი. სოციოლოგიური ტერმინოლოგიის მეშვეობით მიღებული ცოდნისა და კვლევის შედეგების თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) გადაცემის, ქართულ და უცხოურ ენებზე რელევანტური მასალების მოიძიებს უნარი .<br><br>4.პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ეთიკური პრინციპების დაცვა;<br>პრაქტიკული საქმიანობისას ეთიკური ნორმების დაცვის პასუხისმგებლობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინების; ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.<br><br>უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, |

| |
|---|
| სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ხარისხის სამსახური, აკვირდება პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების განვითარების პროცესს მასში ჩართული მონაწილეებისაგან მიღებული შეფასებებისა და უკუკავშირის მეშვეობით. ამასთან, საგულისხმოა, რომ პროგრამა რეგულარულად აწარმოებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, ასევე სტუდენტებსა და დამსაქმებელს შორის აქტიური კომუნიკაცია გამოიყენება პროგრამის დახვეწისა და განვითარებისათვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებთან ერთად, წინაპირობები გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებას. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), ისტორია ან მათემატიკა. მართალია, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებისთვის სავალდებულო ლიტერატურა ქართულია და უცხო ენაზე ლიტერატურის გაცნობა მხოლოდ დამატებითი სახითაა შეთავაზებული (უმეტესად, რუსული), თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სფეროსთვის ყველაზე აქტუალური სამეცნიერო ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი, ამასთან უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად საქართველოში აკრედიტებული შესაბამისი პროგრამების უმრავლესობაში დაშვების წინაპირობას სწორედ ინგლისური ენა წარმოადგენს, სასურველი იქნებოდა სსუ-ს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაც დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნას ითვალისწინებდეს.<br><br>გარდა ზემოჩამოთვლილისა, პროგრამაზე ასევე დაიშვებიან სტუდენტები შიდა და გარე მობილობის განხორციელებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე |

| |
|---|
| მიღებასთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ცნობარსა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;<br>○ შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდი www.naec.ge;<br>○ სსუ-ს ვებგვერდი (www.sou.edu.ge). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ჩაბარება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი |

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსუ-ს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია; ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 სემესტრს და მოიცავს 240 (ECTS)
კრედიტს. მათ შორის:

- *ზოგადი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 18 კრედიტი*
- *დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 6 კრედიტი*
- *სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 136 კრედიტი*
- *სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები - 20 ECTS კრედიტი*

პროგრამის თავისუფალი კომპონენტები შედგება 60 ECTS კრედიტისგან, რომლის დაგეგმვაც სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალურად, თავისი შეხედულებისამებრ. აღნიშნულისთვის უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ორ შესაძლო ვარიანტს, რომელთაგან მას შეუძლია აირჩიოს (1) *თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი,* რაც მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (მათ შორის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით; ან (2) *დამატებითი (Minor) პროგრამა,* რაც მოიცავს <u>48 კრედიტს დამატებითი (minor) პროგრამის</u> ფარგლებში, რომელსაც სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან) და <u>თავისუფალ კურსებს 12 კრედიტის</u> ოდენობით, რომელშიც სტუდენტს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურა უმეტესად თანმიმდევრული და ლოგიკურია, სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებიც უმეტესად რელევანტურია. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრებმა ცხადჰყო, რომ პროგრამის შემუშავებაში ყველა მხარე იყო ჩართული (როგორც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები). ამასთან, არის რიგი საკითხები, რომელთა დახვეწაც პროგრამის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს.

კერძოდ, პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის, *სოციოლოგიის შესავალთან* ერთად, წარმოდგენილია ისეთი კურსები, როგორებიცაა *აკადემიური წერა, ფსიქოლოგიის შესავალი, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი,*

| |
|---|
| *საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი.* პროგრამის გაცნობით ბუნდოვანია, რატომ არის სპეციალობის სავალდებულო კურსი რომელიმე ჩამოთვლილთაგანი, გარდა სოციოლოგიის შესავლისა. აკადემიურ წერასთან დაკავშირებითაც კითხვები ნაკლებად შეიძლება არსებობდეს, თუმცა სხვა კურსების, ასევე *ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგიის,* როგორც სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის მიმართ კითხვის ნიშნები არსებობს. როგორც ინტერვიუს შედეგებიდან გაირკვა, კურსები *(სოციოლოგიის შესავალი, აკადემიური წერა, ფსიქოლოგიის შესავალი, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი)* უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებისთვის სავალდებულო ზოგადი მოდულის შემადგენელია და მათ, სოციოლოგებთან ერთად, სოციალური მეცნიერების ყველა მიმართულების სტუდენტი გადის. იმისათვის, რომ პროგრამით დაინტერესებულთათვის აღნიშნულთან დაკავშირებით ბუნდოვანება მოიხსნას, სასურველი იქნება პროგრამის სტრუქტურაში გაჩნდეს ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსების მოდული, სადაც პროგრამით გათვალისწინებულ პირველი სემესტრის კურსებთან ერთად, ასევე წარმოდგენილი იქნება *ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგიის* კურსიც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>○ ადმინისტრაციულ და აკადემიურ გუნდთან, ასევე სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები;<br>○ სსუ-ს ვებგვერდი (www.sou.edu.ge). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>პროგრამა გაყოფილია სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებად. შესაძლებლად მიგვაჩნია პროგრამის გაყოფა სამ ნაწილად: სავალდებულო, საველდებულო-არჩევით და არჩევით კურსებად. ჩვენი აზრით, ეს პროგრამას შესაძლებლობას მეტ მოქნილობას შესძენდა. ასე მაგალითად, სავადებულო კურსების ჩამონათვალში, ჩვენი აზრით, შესაძლებელია დარჩეს:<br><br>○ სოციოლოგიის შესავალი;<br>○ აკადემიური წერა;<br>○ საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციოლოგიაში;<br>○ კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში;<br>○ ზოგადი სოციოლოგია;<br>○ პროტოსოციოლოგია;<br>○ კლასიკური სოციოლოგიური თეორიები;<br>○ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები;<br>○ სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები;<br>○ სტატისტიკა;<br>○ სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები;<br>○ სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი;<br>○ პროფესიული პრაქტიკა; |

- პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები;
- კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით);
- საბაკალავრო ნაშრომი (ასევე შესაძლებელია შევიდეს სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალში).

ხოლო სხვა დისციპლინები გადავიდეს სავალდებულო - არჩევითი (აქ შეიძლება შევიდეს დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები) ან არჩევითი კურსების (ყველა სხვა დანარჩენი) ჩამონათვალში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსუ-ს სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უმეტესად 5 და 6-კრედიტიანი სასწავლო კურსებისგან შედგება. ამასთან, პროგრამაში არაერთი კურსია წარმოდგენილი, რომელთაც 3 ან 4 კრედიტი აქვთ მინიჭებული. საკონტაქტო საათები, ისევე როგორც სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების მოცულობა სილაბუსებში გაწერილია. სილაბუსებში გაწერილია წინაპირობები, ისინი შევსებულია ერთიანი ფორმატის გათვალისწინებით და მათ უდიდეს ნაწილში თემები, განსახილველი საკითხები, სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისი გვერდებით კვირების მიხედვითაა გაწერილი.

ამასთან, არის საკითხები, რომელთა დახვეწაც მნიშვნელოვანი იქნებოდა პროგრამის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, არ არის ნათელი, რატომ არის დარგობრივი სოციოლოგიების ნაწილი 6-კრედიტიანი (მაგ: კულუტურის, რელიგიის სოციოლოგია), ნაწილი კი - 3-კრედიტინია (მაგ: პოლიტიკის, ოჯახის, პიროვნების სოციოლოგია); არ არის ცხადი, რატომ არის 3-კრედიტინი კურსი *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში,* სადაც 15 თემაა განხილული და ყველა მათგანი არსებითია პროგრამის სტუდენტთათვის ან რატომ არის აკადემიური წერის კურსი 3-კრედიტიანი, მითუფრო იმის გათვალისწინებით, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს.

ამასთან, სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოდგენილია როგორც *სოციოლოგიის შესავლის,* ასევე *ზოგადი სოციოლოგიის* კურსები, რომლებიც, მართალია, ზუსტად იდენტურ საკითხებს არ ფარავს, თუმცა ორი ზოგადი კურსის არსებობის მიუხედავად, მაინც არ იფარება ისეთი საკვანძო თემები, როგორებიცაა განათლება, რელიგია, ოჯახი. ამასთან, ბუნდოვანია, რა პრინციპით ხდება რიგი კურსებისთვის წინაპირობად სოციოლოგიის შესავლის (მაგ: განათლების სოციოლოგია), რიგ შემთხვევაში კი - ზოგადი სოციოლოგიის (მაგ: ეკონომიკური სოციოოლოგია) კურსების განსაზღვრა. გარდა ამისა, წინაპირობებთან დაკავშირებით კითხვა ჩნდება ასევე სხვა კურსების შემთხვევაშიც. მაგალითისთვის, ვიზიტისას ინტერვიუს ფარგლებში დასახელებული არგუმენტაციის მიუხედავად, კითხვის ნიშნები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აქვს კურსს *კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)* წინაპირობად ფსიქოლოგიის შესავალი და არა *რაოდენობრივი კვლევის მეთოდები* ან *სტატისტიკა.* ამასთან, ბუნდოვანია, რატომ არ არის *სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკუმის* წინაპირობა *კვლევის მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით.*

მართალია, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, მაგრამ სავალდებულო კურსების შინაარსთან მიმართებით ასევე არსებობს თემების გადაფარვასთან დაკავშირებული გამოწვევები, თუმცა, ის არსებითად არ ახდენს გავლენას პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე.მაგალითად, *ფილოსოფიური და სოციოლოგიური ანთროპოლოგიის* კურსის ფარგლებში ისეთ ავტორებს ეთმობა დრო, რომლებიც *კლასიკური ან თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების* კურსების ფარგლებში ისწავლება (მაგ: სპენსერი, დიურკემი, ვებერი). ამასთან, ბუნდოვანია, როგორ ხერხდება ერთი სალექციო საათის მანძილზე ერთდროულად ორი ავტორის გაცნობა (მაგ: სპენსერი და მარქსი მე-6 კვირა, დიურკემი და ვებერი მე-7 კვირა).

რიგ შემთხვევებში, კურსების მიზნებში გაწერილია კურსისთვის ნაკლებად რელევანტური საკითხები. ასე მაგალითად, სავალდებულო კურსებიდან *კლასიკური სოციოლოგიური თეორიების* კურსის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია სტუდენტთათვის მეთოდების საფუძვლიანი სწავლება, რაც ამ კურსის მიზანს არ შეესაბემა. თუმცა, აქაც აღსანიშნავია, რომ არც მსგავსი შემთხვევები ახდენს გავლენას პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.

ამასთან, სილაბუსებთან დაკავშირებით დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ არსებობს ერთიანი მიდგომა. სტრუქტურის თანახმად, უმეტესად, კვირების მიხედვით წარმოდგენილია არა უბრალოდ თემები, არამედ განსახილველი საკითხები, კონკრეტული კვირის ფარგლებში შესასრულებელი დავალება და სავალდებულო ლიტერატურა. ასევე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში არსებული ხარვეზების მიუხედავად (მაგ:

პოლიტიკის მეცნიერების შესავალი), ძირითადი ლიტერატურა შესაბამისი გვერდების მითითებითაა წარმოდგენილი.

ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, რიგ შემთხვევებში, საკითხავი ლიტერატურის გამდიდრება მოხდეს თანამედროვე მასალით. მაგალითად, პროტოსოციოლოგიის კურსისთვის საინტერესო იქნებოდა ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილი ლიტერატურის უახლესი გამოცემის დამატება (მაგ: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში / ავტორთა ჯგუფი / V გამოცემა: წიგნი I და II - 2014 წელი; წიგნი III - 2015 წელი; VI გამოცემა: წიგნი I - 2017 წელი, წიგნი II - 2018 წელი; VII გამოცემა: წიგნი I - 2019 წელი / ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა). მნიშვნელოვანი იქნება ისეთი კურსების ლიტერატურის განახლება, როგორებიცაა მაგალითად, გენდერის სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, მედიის სოციოლოგია. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ასევე სასურველია განსახილველი თემების ფოკუსირება მედიის საკითხებზე და ნაკლებად ჟურნალისტიკაზე.

კურსების შინაარსთან დაკავშირებით აღსანიშნავია ასევე, რომ რიგ შემთხვევაში არ არის დაფარული მნიშვნელოვანი ავტორები, ზოგიერთ ავტორს კი რამდენიმე სალექციო კვირა ეთმობა. ასე მაგალითად, *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების* კურსის ფარგლებში, სადაც ორ-ორი სალექციო კვირა ეთმობა ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან პიერ ბურდიე (კვირა 3 და 4) ან კარლ პოპერი (კვირა 7 და 9), მნიშვნელოვანი იქნება დრო დაეთმოს სხვა თანამედროვე ავტორების გაცნობას (მაგ: მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი). მითუმეტეს, რომ ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან მიშელ ფუკო ან ფერნან ბროდელი, მართალია, განსხვავებული აქცენტებით, მაგრამ დრო ეთმობა როგორც ამ (თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები), ასევე *პოსტმოდერნისტრული სოციოლოგიური თეორიების* კურსების ფარგლებში. ამ უკანასკნელში, სასურველია, კვირების მიხედვით განსახილველი თემები გადაიხედოს, რამდენადაც ერთი ავტორი (როლან ბარტი) სამი კვირის მთავარი განსახილველია (თემები 7, 8 და 9), სამი ავტორი კი (ფრანსუა ლიოტარი, ჯანი ვატიმო, მარკ პოსტერი) ერთი კვირის თემით (თემა 14) იფარება. ცხადია, ისეთ ავტორს, როგორიცაა როლან ბარტი მთელი სასწავლო კურსიც შეიძლება მიეძღვნას, თუმცა აქ კითხვებს აჩენს მისი სამი კვირის მანძილზე განხილვის რეალისტურობა სავალდებულო ლიტერატურის მითითების გათვალისწინებით (თემა 7. სავალდებულო ლიტერატურა: გვ. 59-61; თემა 8. სავალდებულო ლიტერატურა: გვ. 61-64; თემა 9. სავალდებულო ლიტერატურა: გვ. 49-53). მართალია, ვიზიტისას ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ ერთი და იგივე ავტორისთვის რამდენიმე სალექციო კვირის დათმობა მათ სიღრმისეულ შესწავლას ისახავს მიზნად, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლების ამ საფეხურზე მიზანი სტუდენტებისთვის ფართო თეორიული ცოდნის გადაცემას მოიაზრებს, კურსების ფარგლებში მითითებულ ავტორთა გაცნობა სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია გამოწვევები კვლევის მეთოდებისა და კვლევის პრაქტიკუმის კურსებთან მიმართებით. იმის გათვალისწინებით, რომ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსების ფარგლებში კვირების მიხედვით განსახილველი თემები უფრო თეორიულ საკითხებს ეხება, ვიდრე რეალურად კვლევის დაგეგმვა-განხორციელების ეტაპებს, კითხვის ნიშნები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალისტურია სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარება. ასე მაგალითად, ბუნდოვანია, რატომ ეთმობა *რაოდენობრივი კვლევის მეთოდების* კურსის ფარგლებში შუალედურამდე პერიოდი (შვიდი კვირა) ზოგად საკითხებს, რომლითაც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, სად არსებობს სოციოლოგიური კვლევის შესაძლებლობები.

ან რატომ არის არსებითი *თვისებრივი კვლევის მეთოდების* კურსის ფარგლებში ფოკუს ჯგუფის განვითარების ისტორიის შესწვლა (კვირა 9) მაშინ როდესაც არცერთი კურსის ფარგლებში დრო არ ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კვლევის დიზაინის შექმნა, ინსტრუმენტების შემუშავება, მონაცემთა ანალიზი და ანგარიშის წარდგენა. ამასთან, ბუნდოვანია, რატომ არის დასკვნითი შეფასება მიბმული დასკვნითი მასალის ცოდნაზე და არა კვლევითი პროექტის მომზადებაზე.

კითხვის ნიშნებია უშუალოდ პროფესიული პრაქტიკის კურსთან დაკავშირებით. კერძოდ, ბუნდოვანია, რატომ არის მნიშვნელოვანი კურსისთვის სწავლის შედეგი - *„განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამსახურების ფუნქციებს, მიზნებს და ამოცანებს“* ან რატომ განისაზღვრა კურსის შედეგად ის, რომ სტუდენტი *„ამზადებს პრაქტიკის ობიექტის შესახებ პრეზენტაციას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის“* და არა ის, რომ სტუდენტი გეგმავს კვლევით პროექტს, ახორციელებს მას და კვლევის შედეგების შესახებ ამზადებს პრეზენტაციას.

ამავე კურსთან დაკავშირებით ასევე ბუნდოვანია, რატომ არის დღიური წარმოების შეფასება მნიშვნელოვანი სოციოლოგიის ბაკალავრისთვის ან როგორ ხდება ორი კვირის მანძილზე ისეთი ამოცანების შესრულება, როგორებიცაა სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გაცნობა შემდეგი აქტივობების გაცნობის ჩათვლით: *კითხვარების მომზადება, შერჩევის დიზაინის შემუშავება, საველე სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, ველის მონიტორინგი, მონაცემთა თავმოყრა და დამუშავება (XI-XII კვირა);* ან *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების გაცნობა შემდეგი აქტივობების გაცნობის ჩათვლით: გზამკვლევის მომზადება, რესპონდენტთა შერჩევა, ჩაღრმავებული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების დაგეგმვა და ჩატარება, ტრანსკრიპტების მომზადება, მონაცემების დამუშავება (XIII –XIV კვირა).*

ის, რომ პროგრამა ნაკლებადაა ფოკუსირებული კვლევითი უნარების განვითარებაზე ჩანს, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსიდანაც, სადაც კვლევის დაგეგმვა-განხორციელებას მხოლოდ ერთი კვირა ეთმობა. კერძოდ, მე-7 კვირის აღწერაში ვკითხულობთ: ნაშრომზე მუშაობის დაწყება; მცირე ემპირიული კვლევის შემუშავება /ჩატარება. პროექტის მეთოდების შერჩევა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის და აქტუალობის განსაზღვრა; მე-8 კვირის აღწერაში კი წერია: მიღებული მონაცემების დამუშავება, პირველადი დასკვნების გამოტანა. ნაშრომის სრული ვერსიის გადაცემა რეცენზენტზე შესაფასებლად. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-7 კვირაა გათვლილი კვლევის დიზაინის, ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შემუშავების, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, რაც გვაფიქრებინებს, რომ კვლევითი კომპონენტი არ არის საკვანძო საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად და არც რეალისტური გამართული კვლევის შედეგების გაანალიზება. ამ მოსაზრებას ამყარებს ის საბაკალვრო ნაშრომებიც, რომლებიც დამატებითი დოკუმენტების სახით იყო წარმოდგენილი, სადაც სოციოლოგიის პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის ცენტრალური ნაწილი არ ეთმობა კვლევით კომპონენტს, კვლევის მიზნის, ამოცანების, კვლევის დიზაინის (შესაბამისი მეთოდის, კვლევის არეალის, სეგმენტის და ა.შ.), მონაცემთა მოპოვება-დამუშავებისა და მიგნებების ნაწილი კი ნაკლებად გამართულია.

აქვე ხაზგასასმელია, რომ პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კურსის არსებობა და პრაქტიკის შესაძლებლობა, რაც მემორანდუმებითაა გამყარებული, ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რომელიც პროგრამაში განხორციელდა.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| --- |
| ○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ ასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ კურიკულუმის რუკა;<br>○ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;<br>○ აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ რეკომედნებულია თანამდეროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში გადაიხედოს კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები, ერთი და იგივე ავტორებისთვის რამდენიმე კვირის დათმობის შემთხვევაში კი, განისაზღვროს შესაბამისი ლიტერატურა და/ან დაემატოს სხვა ავტორები (მაგ: მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი).<br>○ რეკომენდებულია კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების სილაბუსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხებისა და შესასრულებელი დავალებების იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული იყოს არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე.<br>○ რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის გამართვა იმგვარად, რომ მისი მიზანი და შედეგები გულისხმობდეს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასურველია სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების შესაბამისად განსაზღვრა.<br>○ სასურველია სასწავლო კურსების ნაწილის განახლება უახლესი ლიტერატურითა და კვლევებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსუ-ს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ მიზანს სოციოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა-განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გადაცემა წარმოადგენს. როგორც თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, სტუდენტთა კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რომელშიც სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქცენტი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლერებაზე გაკეთდა, სავალდებულო კურსებს დაემატა პროფესიული პრაქტიკა. მის მიზანს სწორედ პრაქტიკული უნარების განვითარება უნდა წარმოადგენდეს. როგორც უკვე აღინიშნა (კომპონენტი 2.3), თავად პრაქტიკის შესაძლებლობის არსებობა დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა პრაქტიკის სილაბუსის შინაარსის გათვალისწინებით, რთულია იმის თქმა, რომ პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები რეალურად შეძლებენ პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. წარმოდგენილ სილაბუსებში სხვადასხვა სასწავლო კურსი, თეორიულ საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ჯგუფში მუშაობას/პრაქტიკულ სამუშაოს (ქვიზები, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული დავალება და მისი გაანალიზება, მცირე სოციოლოგიური კვლევითი პროექტი). ამასთან, ის, რომ პროგრამის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, მნიშვნელოვანია. თითოეულ ამ კომპონენტს აქვს გარკვეული ხარვეზები (კომპონენტი 2.3), რომელთა გაუმჯობესება-დახვეწაც აუცილებელია (მაგ: სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკუმის კურსი რეალურად პრაქტიკული დავალებების შესრულებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და ნაკლებად ზეპირი გამოკითხვებით ცოდნის შემოწმებაზე). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახის დავალების შესრულება, თავად პრაქტიკის, ისევე როგორც საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო კომპონენტის სახით არსებობა ქმნის საფუძველს სხვადასხვა ტრანსფერული უნარის გადასაცემად.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც ფაკულტეტის სტუდენტები არიან ჩართული. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ყოველწლიურად კონფერენციებში დაახლოებით 7 სტუდენტი მონაწილეობს.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი მემორანდუმები ითვალისწინებს უშუალოდ სოციოლოგიისა და სოციალური კვლევების მიმართულებით შესაბამისი ორგანიზაციების თანამშრომლობას და შესაბამისი კვლიფიკაციის მქონე პერსონალის პრაქტიკის

განხორციელებაში მონაწილეობას. მართალია, დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი სტაჟირების/პრაქტიკის ხანგრძლივობა ან სტუდენტთა რაოდენობა, მაგრამ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები, მათთან თანამშრომლობის უკვე არსებული პრაქტიკა, ასევე მზაობა, მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლონ სსუ-ს სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან (რაც დადასტურდა ვიზიტისას მათთან ინტერვიუს დროს), ამ უკანასკნელის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების ანგარიში;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი.
- რეკომენდებულია, დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

